[illegible] თოფურიას პირადი ფონდი

369

საქართველოს სსრ ხელნ...
ფონდი № 287 აღწერილობა № 1 შ.ერთ. № 369
Фонд № 287 Опись № 1 ед. хр. № 369

საქართველოს სსრ ხელნ...
ფონდი № 287 აღწერილობა № 1 შ.ერთ. № 369
Фонд № 287 Опись № 1 ед. хр. № 369

დასკანირებულია 01
16.01.2025

13ფ.

Inv. 369

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების
გაერთიანებული კათედრა

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის
პ რ ო გ რ ა მ ა

ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის
დღის განყოფილების სტუდენტებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1992

შემდგენელი პროფ. ა. თოფურია
რედაქტორი ლიც. ა. გომართელი

მეთოდური მითითებანი

საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი დადგა. იგი ნიისწრაფის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი სისტემის, დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისაკენ, რაც მხოლოდ გულდაგული შრომით და ბრძოლით მოიპოვება. იცვლება ეროვნული განათლების ჯორნა და შინაარსი, ისახება მისი ახალი კონცეფციები, მიზნები და ამოცანები.

ამის შესაბამისად ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის საკვალიფიკაციო დახასიათება, სავალდებულო ენათმეცნიერული და ლიტერატურისმცოდნეობითი საუნების ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ამ სპეციალობის მასწავლებლის მოსამზადებლად ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის თეორიული და პრაქტიკული კურსის დაუფლებას.

ეს კარნახობა თანამედროვე პირობებში ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის დღის განყოფილების სტუდენტების წინაშე ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს აყენებს. ისინი საღეკციო კურსის დაწყების დღიდანვე ინტენსიურად უნდა შეუდგნენ საგნის არა მარტო თეორიული კურსის, არამედ ლიტერატურის სწავლების პრაქტიკული საკითხების ათვისებას, რათა გამოუმუშავდეთ უნივერსიტეტის კედლებში მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების სათანადო უნარ-ჩვევები. ამისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს პროგრამით ნავარაუდევი თემების სისტემატურ, თანდათანობით შესწავლას. ეს კი მოითხოვს დროის რაციონალურ განაწილებას და აგებვას, შინაგანი ძალების მობილიზებას და ნებისყოფას, ინტერესს და სწრაფვას, რომელიც უნდა ემყარებოდეს მოვალეობის შეგნებას და არჩეული პროფესიისადმი სიყვარულს.

უმაღლესი სკოლის მუშაობის მთავარი მიზანი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ სპეციალისტის მომზადებას საფუძვლად დაედოს სტუდენტის სწორი არჩევანი, მისი მიდრეკილება და შინაგანი მოწოდება, რაც განსაკუთრებით საჭიროა პედაგოგიურ ასპარეზზე მომავალი მოღვაწეობისათვის. ამ ფაქტორზე დაყრდნობით რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი და საშუალებანი, სტუდენტთა დამოუკიდებელი (ინდივიდუალური) მუშაობის გაძლიერების ფორმა, რითაც მიღწეულ უნდა იქნეს ცოდნის მიღების რაც შეიძლება ოპტიმალური დონე.

პროგრამაში ამ მიზნით საგანგებოდ არის შეტანილი საორიენტაციო თემები სტუდენტთა დამოუკიდებელი (ინდივიდუალური) მუშაობისა და რეფერატული შრომების დაწერისათვის. ამ გზით უნდა მომზადდეს ნიადაგი ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში საკურსო (საკონტროლო) და სადიპლომო შრომების დასაცავად, რასაც ალრე ყოველთვის ითვალისწინებდა სასწავლო გეგმა და მომავალშიც უნდა გაითვალისწინოს.

რაც შეეხება პრაქტიკუმების და დიალოგებისათვის ნავარაუდევ თემებს, მათი უმთავრესი ამოცანაა წინამდებარე პროგრამის საფუძველზე წაკითხული სალექციო თეორიული კურსის თანდათანობით, ლექციების პარალელურად, შესწავლის უზრუნველყოფა. მაგრამ ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის პრაქტიკუმს, ქართული ლიტერატურის ისტორიის პრაქტიკუმისაგან განსხვავებით, მეორე მიზანიც აქვს - ეს არის სტუდენტთა მომზადება პედაგოგიური პრაქტიკისათვის, ს.ი. არჩეული სპეციალობით ცხოვრებაში მათი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ეს ანიჭებს მას ორმაგ ხასიათს, რითაც უფრო კონკრეტული და მიზანდასახული ხდება სტუდენტთა სპეციალიზაციისა და და პედაგოგიზაციისათვის გამიზნული სათაკულტეტო ღონისძიებანი და

ექცევა იგი გარკვეულ, ერთიან ორბიტაში.

პროგრამის ბოლოს მითითებულია ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო ლიტერატურა მინიმალური აუცილებლობის პრინციპით, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს მაქსიმალურად გამოიყენოს შექმნილი ხელსაყრელი ვითარება საგნის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შესაძენად.

I. ზოგადი ნაწილი

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საღეკციო კურსის ამოცანა და ძირითადი ნაწილები. ქართული ლიტერატურის მეთოდიკის სიზნები და ამოცანები. ქართული ლიტერატურის სწავლების ისტორიიდან – ძველეული ცნობები მე-18 საუკუნის დამდეგამდე ქართული მეთოდიკური იდეების განვითარების შესახებ. ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების ძირითადი პერიოდები მე-19 საუკუნის დამდეგიდან 1917 წლამდე: 1. XIX საუკუნის დამდეგისა და 60-70-იანი წლების პერიოდი, 2. XIX საუკუნის 60-70-იანი წლებისა და 1900-იანი წლების პერიოდი, 3. 1900-1917 წლების პერიოდი. ი.ჭავჭავაძის, ა.წერეთლის და ი.გოგებაშვილის როლი ქართულ მეთოდიკური აზროვნების ახალი გზით განვითარების საქმეში. მ.ნასიძის, გ.იოსელიანის, ლ.ბოცვაძის მეთოდიკური შეხედულებანი. ქართული ლიტერატურის სწავლების შემეცნებითი-აღმზრდელობითი და სასწავლო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა. ქართული ლიტერატურის სწავლების ესთეტიკური მნიშვნელობა. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კავშირი მონათესავე მეცხიერულ დისციპლინებთან: ფილოსოფიასთან, ლიტერატურისმცოდნეობასთან, ენათმეცნიერებასთან, სამშობლოს ისტორიასთან, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიასთან. ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგადი პრინციპები, ქართული ლიტერატურის სწავლების ძირითადი მეთოდები. კითხვები ამ მონაკვეთის ცოდნის თვითშემოწმებისათვის.

II. ქართული ლიტერატურის სწავლება V-VIII კლასებში

V-VIII კლასებში ქართული ლიტერატურის სწავლების მიზნები, ამოცანები, სისტემა და ორგანიზაცია (პროგრამების შედგენის ძირითადი პერიოდები). პროგრამების აგების ძირითადი პრინციპები. შედარებითი დიდი მოცულობის ნაწარმოებთა სწავლების ეტაპები და სახეები. შესავალი მეცადინეობა, მისი ფუნქცია, ჩატარების ხერხები და საშუალებანი (ისტორიულ-ყოფითი, ლიტერატურული და ლექსიკური კომენტარი). მწერლის ვინაობის გაცხობა. ტექსტზე მუშაობა. ტექსტის კითხვის მნიშვნელობა. შინ და კლასში წასაკითხ მასალათა დოზირების ზოგადი წესები და ხელმძღვანელობის ხერხები. გამომეტყველებითი კითხვის დაუფლების გზები. გამომეტყველებითი კითხვის სახეები.

ნაწარმოების გეგმების შედგენა. გეგმის სახეები და ფორმები. გეგმაზე მუშაობის ხერხები და საშუალებანი. წაკითხულის გადმოცემის (ან თხრობის) სახეები.

მხატვრული ნაწარმოების ტექსტის ანალიზი. ანალიზის ელემენტები, მეთოდები და ხერხები. მოქმედ პირთა დახასიათება. დახასიათების ზოგადი პრინციპები, დახასიათების გზები და საშუალებანი, დახასიათების სახეები (ინდივიდუალური, ჯგუფური, შედარებითი), ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთიანობის გამოხატულება სწავლების პროცესში. ენა მხატვრულ ნაწარმოებში. მწერლისა და პერსონაჟების ენა.

ინტონაციური თავისებურებანი. ხალხური შემოქმედების ნიმუშების სწავლების თავისებურებანი V-VIII კლასებში. ლირიკული ნაწარმოების სწავლების სპეციფიკა. ლექსთწყობის საკითხები. ზეპირად დასწავლა.

დასკვნითი მეცადინეობა. ჩატარებული მუშაობის სინთეზირება და ცოდნის განმტკიცება, ცოდნის აღრიცხვა და განმეორების ორგანიზაცია. კითხვები მეორე მონაკვეთის ცოდნის თვითშემოწმებისათვის.

III. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲘ IX-XI ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲨᲘ

ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖ

მონაკვეთის ცოდნის დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

IV. ფაქультативური მუშაობის საგნები ქართულ ლიტერატურაში

კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ფორმები და სახეები, მისი მიზნები და ამოცანები. კლასგარეშე კითხვა. წრეობრივი მუშაობა, მისი სახეები. ლიტერატურული კედლის გაზეთი და ხელნაწერი ჟურნალი. ლიტერატურული დისპუტებისა და მკითხველთა კონფერენციების ჩატარების ორგანიზაცია. ლიტერატურული ექსკურსია. კოლექტიური სვლა კინოებსა და თეატრებში.

საზღვარგარეთის ლიტერატურის ნიმუშების სწავლების ორგანიზაცია ქართული ლიტერატურის სწავლების პროცესთან კავშირში. თვალსაჩინოების და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება. ფაკულტატიური მეცადინეობა. კითხვები მეოთხე მონაკვეთის ცოდნის დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

V. გამომცემლობა „ასოთამჭედლის" მუშაობა და სტუდენტთა მონაწილეობა ლიტერატურულ პრაქტიკაში

ლიტერატურის სასკოლო კაბინეტი, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მეთოდიკური დახელოვნების ცენტრი. სასწავლო კაბინეტის კავშირი სასკოლო ბიბლიოთეკასთან. ~~მასწავლებლის~~ მომზადება გაკვეთილის ჩატარებისათვის. გაკვეთილის გეგმის და გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის შედგენა, როგორც გაკვეთილისათვის წინასწარ საგულდაგულო მომზადების აუცილებელი პირობა. სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზაცია სახელმწიფო უნივერსიტეტში და სტუდენტ-პრაქტიკანტების ძირითადი უფლება-მოვალეობანი. კითხვები მეხუთე მონაკვეთის ცოდნის დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

საერთაშორისო ძალები სტუდენტთა ინტერნაციონალი (ინტერნაციონალი) მუშაობისა და რევოლუციური ბრძოლების ისტორიაში

1. ქართული ლიტერატურის V-VI კლასების კრესტომათიების აგებულება, მასალათა განლაგება და პედაგოგიურ-მეთოდიკური გამართულობა.
2. ქართული ლიტერატურის VII-VIII კლასების კრესტომათიების აგებულება, მასალათა განლაგება და პედაგოგიურ-მეთოდიკური გამართულობა.
3. მე-9 კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს კრიტიკულ-მეთოდიკური შეფასება.
4. მე-10 კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს კრიტიკულ-მეთოდიკური შეფასება.
5. მე-11 კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს კრიტიკულ-მეთოდიკური შეფასება.
6. ქართული ლიტერატურის V-VIII კლასების მოქმედი პროგრამების გაცნობა-შესწავლა და კრიტიკული შეფასება.
7. ქართული ლიტერატურის IX-XI კლასების მოქმედი პროგრამების გაცნობა-შესწავლა და კრიტიკული შეფასება.
8. მე-9 კლასში რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" სწავლების საკითხზე ძირითადი სახელმძღვანელო ფილოლოგიურ-მეთოდიკური ლიტერატურის შესწავლა და საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება-გადმოცემა.
9. მე-10 კლასში ილია ჭავჭავაძის "ოთარაანთ ქვრივის"

სწავლების საკითხებზე ძირითადი სახელმძღვანელო ფილოლოგიურ-მეთოდიკური ლიტერატურის მესწავლა და საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება-გადმოცემა.

10. მე-11 კლასში გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის სწავლების საკითხებე ძირითადი სახელმძღვანელო ლიტერატურის მესწავლა და საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება-გადმოცემა.

11. დიდი ოსტატობის ტექსტის სწავლების ორგანიზაცია IX-XI კლასებში.

12. ზოგადმიმიზიდვითი თემების როლი და ადგილი IX-XI კლასების ქართული ლიტერატურის პროგრამებში.

13. მოსწავლეთა ემოციულ-ესთეტიკური ინტერესების გაფართოების ხერხები და საშუალებანი ლიტერატურის სწავლების პროცესში.

14. მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ძირითადი გზები ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით.

ძირითადი ლიტერატურის სია

1. V-IX კლასების ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამები.

2. V-XI კლასების ქართული ლიტერატურის სასკოლო ქრესტომათია-სახელმძღვანელოები.

3. შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი", ი.ჭავჭავაძის "თორმეტი ქალწული", ვ.ტაბიძის მე-11 კლასის პროგრამით გათვალისწინებული ლექსები.

4. კ.ბაქრაძე, ა.ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (თავი "შოთა რუსთაველი"), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა.

5. მ.ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, წიგნი II, (თავი "ილია ჭავჭავაძე").

6. ავტორთა კოლექტივი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1984 (თავი "გალაკტიონ ტაბიძე").

7. ა.ფოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, მეექვსე გამოცემა, 1991 (გვერდების მითითება კონკრეტული საკითხების მიხედვით).

8. შ.ქურდაძე, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის პრაქტიკუმი, 1981 (გვერდების მითითება კონკრეტული საკითხების მიხედვით).

9. მ.თაბორიძე, მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ლიტერატურის სწავლებისას, 1973.

10. ა.მწყედლიძე, "ვეფხისტყაოსნის" თემატური დაგეგმვა (იხ. "ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1975, № 3, გვ. 60-70).

საატესტაციო ტესტში ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში პრაქტიკუმებისა და დიალოგების ჩასატარებლად

1. სასკოლო პროგრამების, სასწავლო გეგმებისა და ქრესტომათია-სახელმძღვანელოების წინასწარი გაცნობა-ანალიზი სტუდენტთა პროფესიული ინტერესების გამოსავლინებლად.

2. ზოგადი თეორიული კურსიდან მოხსენება-დიალოგი ორგანიზაცია თემაზე: "მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკის ძირითადი არსი და ქართული ლიტერატურის სწავლების როლი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში."

3. ლიტერატურული კითხვის ეტაპზე მწერლის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების მიწოდების სხვადასხვა ხერხისა და საშუალების გაცნობა და ვარჯიში შესაფერი მეცადინეობის მაღალ-იდეურ-მეთოდიკურ ლონეზე ჩატარებისათვის.

4. ნაწარმოების სხვადასხვა სახის გეგმის შედგენაზე მუშაობა, როგორც ტექსტის შინაარსობრივი შესწავლის ერთ-ერთი საფუძველი.

5. გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკის დაუფლებისათვის მისი ძირითადი ელემენტების - ინტონაციის (ტონალობის), პაუზისა და ჩახველის გამოყენების წესების შესწავლა.

6. ვარჯიში გამომეტყველებითი კითხვის ჩვეულების გამოსამუშავებლად და მისი შედეგების ინდივიდუალური შემოწმება.

7. V-VIII კლასების კონკრეტული პროგრამული მასალიდან გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის შედგენა და ჯგუფში მიახლოებითი რეალური სიტუაციის შექმნა მისი განხორციელებისათვის.

8. წერითი მუშაობის ჩატარების მეთოდიკა და ნაშრომების გასწორების ხერხების სწავლება.

9. ვარჯიში მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ უფროს კლასებში დეტალური გაკვეთილის ჩასატარებლად და IX-XI კლასების კონკრეტული პროგრამული მასალიდან გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის შედგენა.

10. პროგრამული ძალაგრული ნაწარმოებების ("ხევისბერი გოჩა", "ტარიელ გიორგა") კომპოზიციური ანალიზი.

11. ვარჯიში V-VIII და IX-XI კლასებში სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა სწავლების პრაქტიკულ საკითხებზე (ლირიკული, ეპიკური, დრამატული, ფოლკლორული და სხვ.)

12. საკონტროლო ინდივიდუალური დავალებების მიცემა სტუდენ-

ტებისათვის პედაგოგიური პრაქტიკის უკეთ ჩატარების მიზნით (გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის, გაკვეთილის ანალიზის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ოქმებისა და სხვა დოკუმენტების შედგენა).

13. ეროვნული იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობის ზოგიერთი ფაქტები 1988-1989 წლების პერიოდიდან (9 აპრილის ტრაგედია) და მისი დაკავშირება ცხოვრების პრაქტიკულ მიზნებთან.

ძირითადი და დამხმარე მეთოდიკური ლიტერატურა

1. ა.თოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (ზოგადი საფუძვლები), მეექვსე გამოცემა, 1991.

2. ა.თოფურია, ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია (1), 1965

3. შ.ქურდაძე, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის პრაქტიკუმი, 1981.

4. მ.თამორიძე, მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის პრობლემები, 1985.

5. გ.ბარამიძე, გამომეტყველებითი კითხვა, 1951.

6. ნ.ჩრუხაძე, ი.ჭავჭავაძის ზოგიერთ ნაწარმოებთა სწავლება სკოლის რეფორმის შუქზე, 1987.

7. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში (სტატიების კრებული), 1988.

П Р О Г Р А М М А

методики преподавания грузинской литературы

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1993

გამომცემლობის რედაქტორი ც.ჯიშკარიანი

ნაბეჭდი თაბახი I

სააღრ.-საგამომც.თაბახი 0,57

უფასო

სიკვეთა 362 ტირაჟი 500

- -

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, 380028,

თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ.I.

9

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური
განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
უმაღლესი და საშუალო სპეციალუ-
რი განათლების სამინისტროს მიერ.

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის

პ რ ო გ რ ა მ ა

**პედაგოგიური ინსტიტუტების ფილოლოგიის ფაკულტეტების
დღის განყოფილებებისათვის**

თ ბ ი ლ ი ს ი
1970

პროგრამა განხილული და მოწონებულია საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ 1970 წლის 10 იანვარს.

რედაქტორი პროფ. ა. თოფურია

სალექციო კურსი

I ზოგადი თეორიული ნაწილი—(12 საათი)

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საგანი, შესწავლის ობიექტი, კვლევა-ძიების მეთოდები, მიზნები და ამოცანები.

ქართული ლიტერატურის, როგორც სასწავლო საგნის, სპეციფიკა და მიზანდასახულობა.

ქართული ლიტერატურის სწავლების შემეცნებით-აღმზრდელობითი, სასწავლო-საგანმანათლებლო და ეთიკურ-ესთეტიკური მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე.

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კავშირი მონათესავე მეცნიერულ დისციპლინებთან: მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიასთან („ასახვის თეორია“ და მეთოდიკა), ლიტერატურისმცოდნეობასთან, ენათმეცნიერებასთან, სამოქალაქო ისტორიასთან, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიასთან.

ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგადი პრინციპები (კომუნისტური იდეურობისა და პარტიულობის, აღმზრდელობითი სწავლების, ისტორიზმის, ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში სწავლების). ქართული ლიტერატურის სწავლების ძირითადი მეთოდები და ხერხები.

ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კურსის ამოცანა და ძირითადი ნაწილები.

ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის წყაროები. რევოლუციამდელი მეთოდიკური მემკვიდრეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა: ქართული მეთოდიკური აზრების ჩასახვა და განვითარება ადრეული საუკუნეებიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე. ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების პერიოდები მე-19 საუკუნის დამდეგიდან 1921 წლამდე. რუსულ-ქართული მეთოდიკური იდეების ურთიერთობა. დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ნაყოფიერი ზეგავლენა სკოლებში ლიტერატურის სწავლების საქმეზე. თ. ბუსლაევის, ვ. სტოიუნინის, ვ. ოსტროგორსკის, ლ. პოლივანოვის მეთოდიკურ შეხედულებათა სისტემა (ძირითადი მეთოდიკური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ რუსეთში). ამ შეხედულებათა და მიმდინარეობათა

გავრცელების ნიშნები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი ორი ათეული წლების რევოლუციამდელ ჩვენს სკოლებში. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის როლი ქართული მეთოდიკური აზროვნების ახალი გზით განვითარების საქმეში. მ. ნასიძის, გ. იოსელიანის, ლ. ბოცვაძის მეთოდიკური შეხედულებანი. ივ. გომელაურის, ს. გორგაძის, ს. ხუნდაძისა და ვ. ბარნოვის ქრესტომათია-სახელმძღვანელოების კრიტიკულ-მეთოდიკური შეფასებანი. მოსწავლეთა მეტყველების განვითარებისა და კლასგარეშე (სკოლის გარეშე) მუშაობის ფორმები რევოლუციამდელი საქართველოს სკოლებში.

საბჭოთა მეთოდიკის მიღწევები ლიტერატურის სწავლებაში.

II. ქართული ლიტერატურის სწავლება IV-VII კლასებში

ქართული ლიტერატურის სწავლების მიზნები, ამოცანები, სისტემა, ორგანიზაცია, მეთოდები და ხერხები IV-VII კლასებში. მოქმედი პროგრამების აგების პრინციპები. ქართული ლიტერატურის 1921, 1928, 1933, 1947, 1959, 1968 წლის პროგრამები, მშობლიური ლიტერატურის სასკოლო ქრესტომათიების გაცნობა მხატვრულ ნაწარმოებთა და დიდაქტიკურ მასალათა შერჩევა-განლაგებისა და საერთო პედაგოგიურ-მეთოდიკური გამართულობის თვალსაზრისით.

დიდი მოცულობის მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობის ძირითადი საფეხურები (ეტაპები) და მომენტები:

I. შესავალი მეცადინეობა

(მისი ფუნქცია და სახეები)

მასწავლებლის შესავალი სიტყვა. ინტერესისა და ყურადღების გამოწვევა მოსწავლეებში. ისტორიულ-ყოფითი და ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარი. მწერლის ბიოგრაფიული ცნობების გაცნობის აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ამ ცნობების მიწოდების გზები და ხერხები (თვალსაჩინოება, ექსკურსია, სურათები, კინოფილმები, დიაპოზიტივები), ლექსიკური კომენტარი.

II. ტექსტზე მუშაობა

1. ტექსტის შესწავლის გზები და ხერხები: კითხვის ფაქტორები და მნიშვნელობა. შინ და კლასში საკითხავ მასალათა დოზირების

პრინციპები. შინ კითხვა. კლასში კითხვა. გამომეტყველებითი კითხვის დაუფლების გზები, ხერხები და ელემენტები (ტონალობა, მახვილი, პაუზა). გამომეტყველებითი კითხვის სახეები. ნაწარმოების გეგმის შედგენაზე მუშაობა, მისი როლი და მნიშვნელობა. გეგმის სახეები და ფორმები. გეგმაზე მუშაობის ხერხები და საშუალებები სხვადასხვა კლასში.

მოსწავლეთა მიერ წაკითხული მასალის გადმოცემა, მისი ადგილი და მნიშვნელობა ლიტერატურის გაკვეთილებზე. თხრობა-გადმოცემის სახეები.

2. ტექსტის ანალიზი: ნაწარმოების ანალიზის სირთულე, მისი ძირითადი ამოცანები და მეთოდოლოგია. ანალიზის ელემენტები, მეთოდები და ხერხები. მთავარ მოქმედ პირთა დახასიათება. ნიადაგის მომზადება მთავარ მოქმედ პირთა დახასიათებისათვის. თავგადასავალზე მუშაობა, როგორც დახასიათების მარტივი ფორმა. დახასიათების ზოგადი პრინციპები. დახასიათების გზები და საშუალებანი. დახასიათების სახეები.

კომპოზიციური გარჩევა. ნაწარმოების კომპოზიციის შესწავლის მნიშვნელობა. კომპოზიციის კომპონენტების (ეპიზოდი, მოულოდნელობა, აღწერა, ლირიკული გადახვევა, დიალოგი, ჩართული ეპიზოდები და სხვ.) შესწავლის გზები. ნაწარმოების სიუჟეტური აგებულების გარკვევა („ხევისბერი გოჩა“, „ტარიელ გოლუა“).

ენა მხატვრულ ნაწარმოებში. მწერლისა და პერსონაჟების ენა. პოეტური ენის შესწავლის ხერხები და საშუალებები.

III. დასკვნითი მეცადინეობა

ჩატარებული მუშაობის შეჯამება-სინთეზირება და ცოდნის განმტკიცება. შემაჯამებელ მეცადინეობაზე ნაწარმოების ღირსების გარკვევა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით (მთავარი იდეური შინაარსის და ძირითადი იდეის ცხადყოფა), დიდი მოცულობის ნაწარმოების გარშემო მიღებული ცოდნის გამთლიანება და მისი აღრიცხვა-შემოწმება.

ეანრობრივ თავისებურებათა გარკვევა. ფოლკლორის სწავლება IV-V კლასებში.

ლირიკული ნაწარმოების სწავლების სპეციფიკა. ლექსთწყობის საკითხები. ლექსის ზეპირად დასწავლა.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ხ ი ს ნაწარმოებთა სწავლების ძირითადი ხერხები და სახეები IV-VII კლასებში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს თ ე ო რ ი ი ს ელემენტების სწავლების გზები, მეთოდები და საშუალებები.

მოსწავლეთა მეტყველების განვითარების გზები IV-VII კლასებში, ერთიანი მოთხოვნები. ზეპირი მეტყველების განვითარების ხერხები და საშუალებანი. წერითი მუშაობის სისტემა, მისი სახეები (შინაარსის გადმოცემა, კითხვებზე პასუხი და გეგმის შედგენა, გმირის თავგადასავალი, დახასიათება, ნანახისა და განცდილის აღწერა, თხზულება). წერითი ნამუშევრების გასწორების ხერხები.

III. ქართული ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსი

რევოლუციამდელი მეთოდისტები ლიტერატურის ისტორიის სწავლების შესახებ. ისტორიულ-ლიტერატურული კურსი ქართულ საბჭოთა სკოლაში. ქართული ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსის სწავლების ძირითადი სიძნელეები. სახელმძღვანელო-ქრესტომათიების ერთობლივი გამოყენებისა და წიგნზე (ტექსტზე) მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდის გზები. VIII-X კლასების ქართული ლიტერატურის პროგრამების აგების ძირითადი პრინციპები. ქართული ლიტერატურის სწავლების მიზნები, ამოცანები, სისტემა და ორგანიზაცია VIII-X კლასებში: ისტორიულ-ლიტერატურული კურსის სწავლების მიზნები და ამოცანები მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის ამოცანათა შუქზე.

განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი ეტაპის შესახებ ვ. ი. ლენინის მოძღვრების გამოყენება მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების ღრმად შესწავლისათვის. რუსული და ქართული ლიტერატურის შესაბამის ტრადიციებს შორის კავშირ-ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა. ლიტერატურულ მიმართულებათა შესახებ განზოგადებული ცოდნის მიწოდების ყველაზე ეფექტური გზა. მწერალთა შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის თავისებურება.

ზოგადმიმოხილვითი ლექციების ადგილი, სახეები და შინაარსი საშუალო სკოლის უფროს კლასებში. მიმოხილვითი ლექციების ჩა-

ტარების გზები და ფორმები. მწერალთა ბიოგრაფიების სწავლების გზები და ხერხები VIII-X კლასებში. მასწავლებლის შესავალი ლექცია მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის შესახებ. დიდი მოცულობის ტექსტზე მუშაობის გზები და პრინციპები VIII-X კლასებში. მოსწავლეთა მომზადება ტექსტის ანალიზისათვის — შესავალი და საორიენტაციო მეცადინეობანი, მისი ფორმები და სახეები: კომენტირებული კითხვა. მასალათა და მოქმედ-პირთა დაჯგუფება. გმირის ხასიათის დინამიკაზე დაკვირვება. პრობლემატიკის ძიება.

მხატვრული ნაწარმოების კითხვის ადგილი, მასშტაბი და ორგანიზაცია საშუალო სკოლის უფროს კლასებში. მოსწავლეთა მიერ ნაწარმოების შინაარსის გადმოცემის სახეები და გამოკითხვის ხერხები.

ნაწარმოების ანალიზი ისტორიულ-ლიტერატურული კურსის ამოცანებთან შეფარდებით. ნაწარმოების ანალიზის ძირითადი პრინციპები და შემადგენელი ელემენტები. ანალიზის ხერხები და საშუალებანი: საკლასო საუბარი წინასწარ დასმული საორიენტაციო კითხვებისა და მასწავლებლის მიერ კლასში დაყენებული საკითხების მიხედვით. მოსწავლეთა მოხსენება-დისპუტების ორგანიზაცია. მასწავლებლის ლექცია-გარჩევა. ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების გამოყენება. ლიტერატურის ისტორიის დაკავშირება ხელოვნების სხვა დარგების შესწავლასთან. თვალსაჩინოება ლიტერატურის ისტორიის სწავლებაში.

მერვე კლასში ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების ამოცანა და თავისებურება. პირველი საუბარი, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსის შესასწავლად პირველი დაინტერესების საფუძველი.

მეცხრე კლასში ქართული ლიტერატურის სწავლების ძირითადი გზები.

მეათე კლასში ქართული საბჭოთა ლიტერატურის სწავლების იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა და თავისებურება. ლიტერატურულ-თეორიული ცნებების სწავლებისა და ლიტერატურის თეორიიდან გარკვეული ცოდნის ფორმირების მთავარი პრინციპები. ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ძირითად შეხედულებათა და ბელინსკის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვ. კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების შესწავ-

ლის მნიშვნელობა მოსწავლეთა მიერ ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლების შეთვისებისათვის.

დასკვნითი მეცადინეობა, განმეორება და წერითი მუშაობის სახეები VIII-X კლასებში. ჩატარებული მუშაობის სინთეზირება-შეჯამება. განმეორება და ცოდნის აღრიცხვა. წერითი მუშაობის ძირითადი სახეები. გასწორების მეთოდიკა. მასწავლებლის ხელმძღვანელობა მოსწავლეთა მეტყველების განვითარების საქმისადმი.

IV. კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა ქართულ ლიტერატურაში

კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის მიზნები და ამოცანები, მისი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის სახეები და ფორმები: კლასგარეშე კითხვა. წრეობრივი მუშაობა. ლიტერატურული დილა-საღამოები, დისპუტები და მკითხველთა კონფერენციები. ლიტერატურული კედლის გაზეთი და ხელნაწერი ჟურნალი. ლიტერატურული გამოფენა. ლიტერატურული ექსკურსია. კინო-თეატრებსა და მუზეუმებში კოლექტიური სვლა.

V. ლიტერატურის კაბინეტი და გეგმიანობა მასწავლებლის მუშაობაში

ლიტერატურის სასკოლო კაბინეტის მნიშვნელობა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და გამოყენება. ლიტერატურის კაბინეტი, როგორც მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნებისა და მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობის ცენტრი სკოლაში. თვითნაკეთი თვალსაჩინო მასალების მომზადება. კავშირი სასკოლო ბიბლიოთეკასთან.

მასწავლებლის მუშაობის დაგეგმვის ფორმები და სახეები. გაკვეთილის გეგმა და გეგმა-კონსპექტი.

თემები პრაქტიკული მეცადინეობისათვის

1. სასკოლო პროგრამების, სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელო-ქრესტომათიების წინასწარი გაცნობა-ანალიზი.
2. ეპოქისა და მწერლის ვინაობის გაცნობის მიზნით, შესავალი მეცადინეობის ჩასატარებლად კონსპექტის შედგენა.
3. ნაწარმოების ცალკეული ნაწილების მარტივი და რთული გეგმის შედგენა.

4. ვარჯიში გამომეტყველებით კითხვაში.
5. პერსონაჟის დახასიათება და გაკვეთილის კონსპექტის დამუშავება ამ მიზნით.
6. წერითი მუშაობის ჩატარების მეთოდიკა და ნაშრომების გასწორება.
7. მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შესავალი ლექციის ჩატარების მეთოდიკა და კონსპექტის შედგენა უფროსი კლასებისათვის.
8. ვარჯიში გაკვეთილის ანალიზის წერილობით გაფორმებაზე.
9. სკოლის-კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი დახმარება მკითხველთა კონფერენციების, საუბრებისა და მოხსენებების ჩატარების, კედლის გაზეთის გამოშვების, ლიტერატურული დილა-საღამოების მოწყობის და სხვა სახის მუშაობაში.
10. გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის შედგენა.

ძირითადი ლიტერატურა

1. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ხელოვნების შესახებ (რუსულ ენაზე), 1957.
2. ვ. ბ. ლენინი ლიტერატურის შესახებ (ქართული გამოცემა), 1946.
3. სკკპ პროგრამა, თბილისი, 1961.
4. ვ. ვ. გოლუბკოვი, ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (რუსულ ენაზე), მეშვიდე გამოცემა, 1962.
5. აკაკი თოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, მესამე გამოცემა, 1968.

დამხმარე ლიტერატურა

1. მ. ა. რიბნიკოვა, ნარკვევები ლიტერატურული კითხვის მეთოდიკიდან (რუსულ ენაზე), 1945.
2. ი. ა. როტკოვიჩი, ლიტერატურის სწავლების საკითხები (რუსულ ენაზე), 1959.
3. აკაკი თოფურია, ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია, აკად. გ. ნ. ჯიბლაძის წინასიტყვაობით, თბილისი, 1969.
4. მიხ. ზანდუკელი, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1959.
5. გრ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხები, თბილისი, 1960.

ПРОГРАММА

Методики преподавания грузинской литературы

(Для филологического факультета педагогических институтов дневного отделения)

(на грузинском языке)

გამომცემლობის რედაქტორი ნ. გოგოლაშვილი

ტექრედაქტორი გრ. სოფრომაძე
Техредактор Г. Сопромадзе
კორექტორი გ. გაბიძაშვილი
Корректор Г. Габидзашвили

ნაბეჭდი თაბახი 0,75 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 0,5
შეკვეთა 440 ტირაჟი 2000

ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტამბა კიროვის 55